# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07-1/518, 13.11.2007) „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 15 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

**ლევან ბეჟაშვილი** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე)

**გიორგი ბოკერია** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ნინო კალანდაძე** – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ელენე თევდორაძე** – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

**ეკატერინე ტყეშელაშვილი** – საქართველოს იუსტიციის მინისტრი

**ზურაბ ადეიშვილი** – საქართველოს გენერალური პროკურორი

**ზურაბ ტყემალაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**მამუკა კაციტაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გოჩა ქიმაძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**ბადრი ხატიძე** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**კონსტანტინე კუბლაშვილი** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

**ნუგზარ შოშიაშვილი** – საქართველოს პარლამენტის წევრი

**გიორგი ხუბუა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**დავით კერესელიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

**თავმჯდომარის მოადგილე მ. მაჭავარიანი**

**თბილისი,**

**2007 წლის 15 ნოემბერი.**

**№5451–რს**